# ოლიმპიური ცეცხლი ოზურგეთში

ოლიმპიური ცეცხლი ოზურგეთში 26 ივნისს 14 საათისათვის შემოიტანეს. იგი 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, პანათინაიკოსის სტადიონზე აინთო.

სახელმწიფო თეატრის შესასვლელში ოლიმპიური ჩირაღდნის აგიზგიზების პატივი ოლიმპიურ ჩემპიონს, ორგზის მსოფლიო ოზურგეთელ ვახტანგ ბლაგიძეს ერგო. გურიის სათავო ქალაქში დამსწრე საზოგადოებას ოლიმპიური ცეცხლის შემოტანა მიულოცეს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ და ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ.

როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ არა 13 ივლისს თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურება, ოლიმპიური ცეცხლის შემოტანას მეტი საზეიმო ელფერი ექნებოდა როგორც გურიაში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში.

ოლიმპიური ცეცხლი ქვეყნის ათივე რეგიონის 66 ქალაქში იმოგზაურებს და 26 ივლისს დედაქალაქ თბილისს ესტუმრება, სადაც 2 აგვისტომდე დაიდებს ბინას.

საქართველო 35-ე ქვეყანაა, რომელიც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები-2015-ს უმასპინძლებს.

# SOS!-სიგნალი
## ბზის ალურას წინააღმდეგ შესხურების შესახებ

გურიის რეგიონში გავრცელებული ბზის ყველა ნარგაობა, რომელზეც გავრცელებულია საშიში საკარანტინო მავნებელი – ბზის ალურა, სასწრაფოდ უნდა შესხურდეს უახლოეს მომავალში, რადგან უკვე გამოსულია მავნებლის მეორე თაობა და იგი ხარბად იკვებება ბზის ფოთლებით.

შესხურების ჩატარების ვადა შეზღუდულია და შემოიფარგლება 10-15 დღით.

შესასხურებლად ქიმიური პრეპარატებიდან სასურველია ალპაკის ან კრალის ან რომელიმე ინსექტიციდის 0,1% ემულსია.

შესხურებაზე მომუშავე პირებს უაცილებელია ჰქონდეთ პროფესიული ცოდნა და ჩვევები.

მცენარეების შესხურებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების ყველა წესი, რათა ასეთმა დამუშავებამ არ იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ცხოველებსა და ბიოსფეროზე.

**ანგელინა ნიკოლაიშვილი,**
აგრარული უნივერსიტეტის, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი.
ტელ. **595 42 98 05.**


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №26 (10116), 29 ივნისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


# ლიტვის დელეგაციის ვიზიტი ოზურგეთში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, პროექტის „სოციალური დახმარების მოდელები ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტებისთვის“ ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით ლიტვის, კერძოდ ალიტუსის მუნიციპალიტეტის წამომადგენლები იმყოფებოდნენ. სტუმრები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას, გამგებელის პირველ მოადგილეს არჩილ ყაზაიშვილს და მუნიციპალიტეტის ადილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში, სოციალური და ფინანსური სამსახურის სპეციალისტებისთვის კონფერენცია გაიმართა. დელეგაციის ხელმძღანელმა ალიტუსის მუნიციპალიტეტის ვიცე მერმა არვიდა ბალჩიუნასმა პრეზენტაციის სახით ალიტუსის მუნიციპალიტეტის გამოცდილება და ხედვები გაუზიარა ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

„ოზურგეთი და ალიტუსი უკვე 4 წელია რაც თანამშრომლობს. აღნიშნული პროექტი ორივე მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს თანამშრომლობა ორიენტირებულია ურთიერთ გამოცდილების გაცვლით მოსახლეობამ მიიღოს გაუმჯობესებული სოციალური ტიპის სერვისები, რადგან მუნიციპალიტეტი არის ძირითადად სოციალური დაცვის სერვისების მომწოდებელი, პასუხისმგებელი და ვალდებული მხარი დაუჭიროს სოციალური დაცვის სერვისების მიწოდებას თავიანთ ტერიტორიებზე. ასევე უზრუნველყოს დაგეგმვა, ორგანიზება და ინტერესის გაზრდა სხვადასხვა ინსტიტუტების მხრიდან.“ – აღნიშნა ვიცე-მერმა

„ოზურგეთის და ალიტუსის მუნიციპალიტეტებმა

გვ-3

# მყარი ნარჩენების მართვა გურიაში – პრობლემები, გამოწვევები

ნუგზარ ასათიანი

მყარი ნარჩენების თემა არახალია. ამ თემაზე სხვადასხვა სახის არერთი ტრენინგის, დისკუსიის, აქციის მონაწილეა გაზეთი „ალიონი.“

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ფაქტიურად არ ხდებოდა. მხოლოდ პროვინციული ქალაქის ცენტრალური უბნებიდან თუ გაჰქონდათ ნაგავი. 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე ქ. ოზურგეთის მერიამ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა და რამდენიმე ათეული სანაგვე ურნა დაიდგა ქ. ოზურგეთის ცენტრალურ უბნებში. ამას ცნობილ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა მოჰყვა და ოზურგეთის დასუფთავების სამსახურს ახალი ტექნიკა გადაეცა. შეიქმნა ქალაქში გამავალი მდინარეების დასუფთავების ჯგუფი. გატარებული ღონისძიების შედეგად მუნიციპალიტეტის მიმდებარე შავი ზღვის სანაპიროზე იკლო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით პლაჟების დაბინძურებამ.

ქ. ოზურგეთს ნაგასაყრელი დაბა ლაითურის მიმდებარედ ჰქონდა, სადაც არ იყო დაცული საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაცვის ელემენტარული პირობები. ფაქტიურად იგი იყო არაკონტროლირებადი ნაგასაყრელი, რომელიც საფრთხის შემცველი იყო მიმდებარე მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის.

ამჟამად რეგიონში 4 ნაგასაყრელი მოქმედებს: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მერიაში, დაბა ურეკის ტერიტორიაზე, ქ. ლანჩხუთის მიმდებარედ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკნარში.

ამჟამად გურიაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ორი წარმომადგენელი: უფროსი კოორდინატორი რეგიონული მართვის საკითხებში თენგიზ ტყეშელაშვილი და კოორდინატორი კახაბერ კოპლატაძე ჰყავთ. სწორედ მათ დავუსვით მყარი

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**
**ტელ: 558 499 100 გაზეთი**
**რეგისტრირებულია**
**ოზურგეთის რაიონულ**
**სასამართლოში 18. 11. 2004**
**№44/4-311**
**გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“**
**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**


**დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# არქეოლოგიურ ძეგლებს მეტი ყურადღება

გურიის რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ვაშნარი ნაქალაქარის აღდგენა პოპულარიზაცია: ეს ის საკითხებია, რომელიც დღეს სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

არქეოლოგები ვაჟა სადრაძე და მერაბ ძნელაძე, სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა, გურიის მხარეში გია სალუქვაძემ, მოადგილესთან და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელთან ერთად მიიღო.

შეხვედრაზე გურიის რეგიონში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, ძეგლის სტატუსის მინიჭებასა და ვაშნარი ნაქალაქარის აღდგენა პოპულარიზაციაზე, ასევე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებაზე გამახვილდა ყურადღება.

შეხვედრას ისტორიული მუზეუმის დირექტორი გოგა ტრაპაიძე და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ ნაკრძალის მმართველი დავით ხურციძე ესწრებოდნენ.

გუბერნატორმა სტუმრებს სამომავლოდ ერთობლივი პროექტების განხორციელებაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

# „მერცხალი“ს სტადიონზე ტრიბუნაზე ხალხი ფეხზე აღარ დარჩება

ქეთი ბოლქვაძე

25 ივნისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით თბილისის ცენტრალურმა სტადიონმა „დინამომ“ ოზურგეთის „მერცხალს“ საჩუქრად ტრიბუნის სკამები გადასცა.

3 480 თანამედროვე სკამი სტადიონის ტრიბუნებს სრულიად უზრუნველყოფს. სპორტის განვითარება ქალაქ ოზურგეთის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ხსენებული ინვენტარის გადაცემა „მერცხალისთვის“ მერიის ინიციატივით მოხდა.

# ბახველებმა ტურნირი წარმატებით დაიწყეს

ქ. ბათუმში დაიწყო ჯანი ცივაძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც ბათუმის, ხელვაჩაურის, გონიოს ათამდე გუნდი გამოდის.

ოზურგეთს ამ ტურნირზე ბახვის საფეხბურთო სკოლის 1999-2000 წლებში დაბადებულები წარმოადგენენ. (მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი).

ბახველებმა წარმატებით აიღეს სტარტი და პირველ ტურში ბათუმის „ადელს“ 4:1 სძლიეს.

# აჭარის ღია პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

20-21 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა 2001-2003 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის მოჭიდავეთა გუნდი.

ზურაბ და ირაკლი ზურაბიანის ჯგუფიდან ჩემპიონები გახდნენ: 29 კგ წონით კატეგორიაში – ნოდიკო გიორგაძე; 35 კგ წონით კატეგორიაში - გიორგი თოხაძე; 66 კგ წონით კატეგორიაში – ცოტნე ცინცაძე; მეორე ადგილი დაიკავა 29 კგ წონით კატეგორიაში საბა ცისკარიძემ. მესამე ადგილები ერგოთ: დათო ჩხაიძეს (38 კგ წონითი კატეგორია); რეზო ვასალომიძეს (42 კგ) და თამაზ ოთხმეზურს (47 კგ).

გურამ მაჭარაშვილის ჯგუფიდან 47 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საბა მამამაძე. მეორე ადგილები დაიკავეს: 32 კგ წონით კატეგორიაში – მანუჩარ გორგაძემ; 38 კგ-ში – დათო შაკაძემ. 59 კგ-ში – თამაზ ქათამაძემ. მესამე ადგილები ერგოთ: ირაკლი სურმანიძეს (29 კგ); გიორგი ჯიჯიეშვილს (53 კგ), რეზო შეშელიძეს (+66 კგ).

# პროექტმა ბავშვები აამოძრავა

25 ივნისს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის შეხვედრების დარბაზში ჩატარდა გურიაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისაკენ მიმართული პროექტის „ავამოძრავოთ ბავშვები“ შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო 2014-2015 სასწავლო წელს პროექტის 10 სამიზნე სკოლისათვის განხორციელებული საქმიანობების შედეგების გაცნობა დამსწრე საზოგადოებისათვის.

თითოეული სკოლის თანატოლ-განმანათლებელმა ისაუბრა ახალგაზრდული ჯგუფების მიერ განხორციელებული სათემო საგანმანათლებლო და მოხალისეობრივი ინიციატივების შესახებ.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ბლოგების კონკურსის გამარჯვებულნი და „ჯანსაღი სკოლის“ ნომინანტი 4 საჯარო სკოლა.

პროექტი „ავამოძრავოთ ბავშვები“ განხორციელდა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ საქართველოსში აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

# *კურიოზები*

### X X X

როცა ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა, წინასწარ გასაუბრებაზე გახლდით ჩაის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსთან, ბატონ ნ. როინიშვილთან. ის რუსულად მელაპარაკებოდა, მე კი ქართულად ვპასუხობდი. ერთხანს ითმინა და ბოლოს გაჯავრებულმა მითხრა:

– ვი შტო, ტავარიშჩ კეჭაყმაძე, ნე ხატიტე გავარიც ნა იაზიკე აქტიაბრსკოი რევოლუციი?

– კაკრას აქტიაბრსკაია რევოლუცია დალა მნე პრავა, გავარიტ ზა სვაიომ რადნომ იაზიკე, – ვუპასუხე მე და განვაგრძე ქართულად.

ამის შემდეგ, მოსკოვშიც და ანასეულშიც, ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით ქართულად.

### XXX

ანასეულში ორი მეგობარი ერთად ცხოვრობდნენ ერთოთახიან ბინაში. ერთი ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა თბილისში. ამ დროს მეორემ ცოლად შეირთო ანასეულში მოვლინებული რუსი ქალბატონი.

მივლინებიდან დაბრუნებულ მეგობარს გაუკვირდა, რომ ბინაში უცხო ქალი დახვდა და ჰკითხა, ვინ ბრძანდებითო. პასუხი რუსულად მიიღო (რუსულზე ცოტა მწყრალად იყო) და კიდევ უფრო გაუკვირდა. ამ დროს სახლში დაბრუნდა ამ ქალის მეუღლე. მეგობრები მიესალმნენ ერთმანეთს. როცა თბილისიდან დაბრუნებულმა გაიგო, რომ ეს ქალი მისი მეგობრის მეუღლე გახლდათ, პირზე კოცნით მიულოცა მეგობარს გაბედნიერება. ცოტა ხნის შემდეგ ქმარი მაღაზიაში გავიდა. ამ დროს ქალბატონს დააცემინა, – ვი ნავერნა პრასტიტუტკა, – უთხრა ოთახში მყოფმა მეგობარმა. ქალი მიხვდა, რომ მას „პრასტუდილის“ უნდა ეთქვა და დაეთანხმა. შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვა, იმდენად ისირცხვილა ეს ამბავი ჩვენმა მეგობარმა, რომ ინსტუტუტის აჭარის ფილიალში გადავიდა სამუშაოდ.

**არსენ კეჭაყმაძე.**

# ჭაში ჩავარდნილი პირუტყვი უვნებლად ამოიყვანეს

სამაშველო სამსახურისა და მოსახლეობის ძალისხმევით, გრუნტის წყლის ზემოქმედებით წარმოქმნილი, 2 მეტრი სიღრმის ჭიდან უვნებლად ამოიყვანეს მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი.

სავარაუდოდ საქონელმა ფერდობზე ანწლით დაფარული ჭა ვერ შეამჩნია და უკანა ფეხებით შიგ გადაეშვა. ეს მოხდა გასულ ორშაბათს, 23 ივნისს, ანასეულში, ყოფილ ფორთოხლის საცდელ ნაკვეთზე.

პატრონის მხრიდან ერთდღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, მეზობელი საღამო ხანს შემთხვევით წააწყდა ჭაში ჩავარდნილ ძროხას და საშველად ახლობლებს უხმო. ბარითა და თოხით დამუშავებისას ჩაცვენილმა მიწამ გრუნტის წყალი შეაგუბა, რომლის დონე თანდათან მატულობდა. გამოძახებიდან ხუთ წუთში სამაშველო სამსახური სრული ეკიპირებით ადგილზე გაჩნდა. ოთხი პროფესიონალი მაშველისა და მოსახლეობის ძალისხმევით, ძნელად, მაგრამ მოხერხდა 2 მეტრი სიღრმის, უკვე გაგანიერებული ჭიდან ძროხის უვნებლად ამოყვანა.

გადარჩენილმა პირუტყვმა ერთ კვირაში ხბო უნდა მოიგოს.

# ლიტვის დელეგაციის ვიზიტი ოზურგეთში

ერთობლი პროექტების განხორციელება დაიწყო. ამის დასტური, სწორედ ალიტუსის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტია ჩვენს მუნიციპალიტეტში. სასიხარულოა, რომ კიდევ ერთი პროექტი დააფინანსა ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რის შედეგადაც საშუალება მოგვეცა გამოცდილების გაზიარებითა და დისკუსიის საფუძველზე ერთობლივი სოციალური სერვისების განვითარების კუთხით სამომავლო სტრატეგია შევიმუშავოთ" – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

სასწავლო-საინფორმაციო ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა თემატურ ჯგუფებში გააგრძელეს მუშაობა.

ალიტუსის დელეგაცია საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას" ესტუმრა.

ლიტვის დელეგაცია გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ მიიღო. მხარეებმა ოზურგეთსა და ალიტუსში უკვე დანერგილ მუნიციპალურ ხედვებზე ისაუბრეს.

ლიტვის დელეგაცია, ქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი იყო ორი ქალაქის, ოზურგეთისა და ალიტუსის დამეგობრებასა და ამ ურთიერთობის მნიშვნელობაზე. ასევე, ქალაქ ალიტუსის მერიის წარმომადგენლებმა აქაურ კოლეგებს, სხვადასხვა დარგში, გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ალიტუსის ვიცე-მერმა, არვიდას ბალჩიუნასმა ბეგლარ სიორიძეს ლიტვის ახალი ისტორიის შესახებ უამბო. ბალჩიუნასმა, ასევე, ისაუბრა ლიტვის მოქმედი ხელისუფლების მოღვაწეობის სტრატეგიასა და პოლიტიკაზე, რამაც ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

როგორც მხარეებმა აღნიშნეს, ურთიერთობა რომელიც ოზურგეთსა და ალიტუსს შორის ყალიბდება ურთიერთთანამშრომლობაზე და მეგობრობაზე იქნება დაფუძნებული.

# ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელეს

სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა გურიის მხარეში გია სალუქვაძემ, საქართველოს მთავრობის კანცელარიისა და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, 2015 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ იმსჯელა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტების მიხედვით, დეტალურად განხილულ იქნა რეგიონში დაგეგმილი პროექტები.

რეგიონულ თათბირს გუბერნატორის მოადგილეები, ქ. ოზურგეთის მერი, გამგებლები, მათი მოადგილეები და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გია სალუქვაძემ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობას პროექტების ზედამხედველობისა და ეფექტურად შესრულებისკენ მოუწოდა.

# ქალაქის მერია დღეს სამ ტენდერს გამოაცხადებს

ქალაქ ოზურგეთის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქალაქის მერია დღეს გამოაცხადებს ტენდერებს უსახლკაროთა თავშესაფრის რეაბილიტაციაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვასა და ქალაქის ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობასა და მოასფალტებაზე.

მალე დაიწყება ძველი ბაზრის წინ მდებარე სხვადასხვა ობიექტების ფასადური სამუშაოები, რაზეც 45 ათასი ლარი უნდა დახარჯულიყო. ტენდერში გამარჯვებული ფირმა ამ სამუშაოებს 40 ათას ლარად შეასრულებს.

ფასადური სამუშაოები ამ ობიექტების მფლობელ ბიზნესენთა თანხმობითა და თანადაფინანსებით განხორციელდება.

# განათლების საერთაშორისო ცენტრი" და „საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ცენტრი" ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საპილოტე პროგრამას იწყებს.

„ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების პროექტის " პრეზენტაცია საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა.

როგორც საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ცენტრის დირექტორმა - გივი ჭანუყვაძემ აღნიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმის შექმნა და ამოქმედება საჭიროებათა იდენტიფიცირებას, არაერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას, მუნიციპალური უწყებების ანგარიშვალდებულების ამაღლებას და საბოლოო ჯამში, ეფექტური მმართველობის განხორციელებას შეუწყობს ხელს. პროექტის ხანგრძლივობა - 7 თვეს მოიცავს.

# მყარი ნარჩენების მართვა გურიაში – პრობლემები, გამოწვევები

ნარჩენების მართვის თემაზე კითხვები:

მათი ინფორმაციით ამჟამად დასავლეთ საქართველოში ორი ნაგვისგადამამუშავებლის გახსნა იგეგმება– ერთის ქუთაისში, ხოლო მეორეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფ. ცეხლაურში, რომელიც აჭარის, გურიის და ნაწილობრივ სამეგრელოს რეგიონს მოემსახურება. აშენდება თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიით მიიღებს და გადამუშავებს საყოფაცხოვრებო ნარჩენს. ახალ ნაგასაყრელთან რომ სატრანსპორტო მიმოსვლა ადვილი იყოს ურეკი-ქობულეთი-სარფის მშენებარე ავტობანზე კეთდება გადასასვლელი კვანძი.

ისინი ფიქრობენ, რომ ამ ნაგავსაყრელზე უნდა მიიღონ სამშენებლო ნარჩენებიც, რადგან ცალკე საამშენებლო ნაგასაყრელის აგება არ იგეგმება.

ურეკის ნაგასაყრელი შეჩერების სტადიაშია. იქ მცირე რაოდენობით შედის ტრაქტორებით ზღვისპირა პლაჟზე აღებული მასა. მომავალში აქ დაიდგმება სპეციალური კონტეინერები, რომლებშიც განთავსდება პლაჟზე აღებული ნარჩენები, რომლებსაც შემდეგ ცეცხლაურის ნაგვისგადამამუშავებელზე გადაიტანენ.

ამის პარალელურად დაიწყება ურეკის ნაგასაყრელის კონსერვაცია. შეიზიდება მიწა, გადაიფარება იქ დაყრილი მყარი ნარჩენები, მოხდება ქიმიური დამუშავება და ა.შ.

თუ როგორ ხდება ნაგასაყრელებზე მყარი ნარჩენების მიღება ეს სოფ. მერიაში მდებარე ნაგასაყრელის მაგალითზე შევისწავლეთ.

ნაგასაყრელებზე დასაქმებული ოპერატორები და სხვა პერსონალი მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას ექვემდებარებიან. ნაგასაყრელი შემოღობილია და დაცულია. იქ უცხო პირებს არ უშვებენ. შიგ შესვლა სპეციალური ნებართვით და აღჭურვილობით არის შესაძლებელი. მერიის ნაგასაყრელი ქ. ოზურგეთის

მერიის და ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტებს ემსახურება.

როგორც მყარი ნარჩენების კომპანიის ოზურგეთის წარმომადგენლობაში გვითხრეს, ნაგსაყრელის ჭიშკართან მყარი ნარჩენებით დატვირთულ ავტომაქანას ხვდება ოპერატორი, რომელიც სპეციალურ სასწორზე წონის ავტომანქანას, შემდეგ ნაგასაყრელის კონკრეტულ უჯრედში აცლევინებს მძღოლს მას. შემდეგ განმეორებით წონის ავტომაქანას და ადგენს მიღებული ნარჩენების რაოდენობას, რომელსაც ატარებს სპეციალურ ჟურნალში.

ამჟამად ყველაზე ძლიერი ავტოპარკი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს აქვს. ამ ცენტრის დასუფთავების სამსახურის უფროსის აკაკი ჭანუყვაძის თქმით მათ განკარგულებაშია 2 „ფორდის" მარკის თანამედროვე და ერთი კამაზის მარკის სპეცავტომანქანა. გარდა ამისა, მათ ჰყავთ ტრაქტორები, რომლებსაც შეკვეთილსა და ურეკში ზღვისპირა პლაჟების დასუფთავებაზე იყენებენ. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში მათ კიდევ სამი ახალი „ფორდის" მარკის ნაგავმზიდი გადაეცემათ. მათვე გადაეცემათ ახალი მოდიფიკაციის 350 სანაგვე ბუნკერი, რომლებიც დაბა ურეკში, შეკვეთილში, სოფ. ნატანებსა და შრომაში განთავსდება. გარდა ამისა, გამოთავისუფლებული სანაგვე ბუნკერები განთავსდება დაბა ნარუჯსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

თანამედროვე ნაგავმზიდები („ფორდი," „მერსედესი") ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსაც. მთაც უახლოეს დღეებში „ფორდის" მარკის 2 თანამედროვე ნაგავმზიდი და 150 ახალი ბუნკერი გადეცემათ.

მოძველებული ტექნიკა ემსახურება გურიის სამხარეო ცენტრს –ქ. ოზურგეთს. ოზურგეთის „სერვისცენტრის" უფროსის ვლადიმერ სალუქვაძის ინფორმაციით მათ განკარგულებაშია 3 მოძველებული „კამაზის" მარკის ნაგავმზიდი და 2005-2006 წლებში დამზადებული საშუალო ზომის ნაგვის ბუნკერები.

უფრო მძიმე მდგომარეობაა დაბა ჩოხატაურში, სადაც საყოფაცხოვრებო ანარჩენები 2 „გაზ"-ის მარკის ავტომანქანით გადაქვთ.

ა(ა)იპების მუშაობას ქ. ოზურგეთის მერია, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები აფინანსებენ და კურირებენ, ხოლო საკრებულოებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის კომისიები.

რეგიონის მოსახლეობა თანდათან გადადის მყარი ნარჩენების ბუნკერებით მომსახურებაზე, მაგრამ სავარაუდოდ აღნიშნული აიპები წარმოქმნილი ნარჩენების სრული რაოდენობის 40 პროცენტის (ქ. ოზურგეთში, ქ. ლანჩხუთში, დაბა ჩოხატაურში გაცილებით მეტს) თუ ახერხებენ. მიზეზი? ჯერ-ჯერობით არ ხდება ცენტრიდან დაშორებული სოფლებიდან მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პერიოდული გატანა.

თუ ცალკეულ ქალაქებში ან დაბაში (ქ. ქუთაისი, დაბა ხარაგოული) დაიწყეს ნარჩენების დახარისხება (აქ პლასმასის ბოთლები სპეციალურ ბუნკერებში თავსდება) ჯერ-ჯერობით გურიაში ამი მყარი ნარჩენების დახარისხება არანაირი ფორმით არ ხდება.

გაზეთი „ალიონი" სწავლობს ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულიატორებისა ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას, აქ კუსტარულად ტყვიის გადადნობას და პლასმასის ნარჩენების გადამუშავების და საკითხს. ამ და სხვა სახის ნარჩენების თემაზე გაზეთმა „ალიონმა" სხვა მედიასაშუალებებთან ერთად საქართველოს პრალამენტს მიმართა. ჟურნალისტების წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაეცა შესასწავლად.

როგორც მინიტრის პირველი მოადგილე თეიმურაზ მურღულიამ გვიპასუხა (№6692, 26.03. 2015 წ.)

„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად საწარმოს მშენებლობის ფაქტი არ დადასტურდა. ასევე, არსებული ინფორმაციით, შპს „GEO RECUCLING"-ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემული არ არის. რაც შეეხება შემოღობილ ტერიტორიაზე საწარმოს დაგეგმილ მშენებლობას, საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, კომპანიიდან გამოთხოვილ იქნა სათანადო დოკუმენტაცია..."

**ბოლოთქმა**

ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა. ამ მხრივ მკითხველთათვის შვედეთის მაგალითის გაცნობა იქნება უპრიანი.

შვედეთში ნარჩენების მართვა „იერარქიულ პრინციპს" ეფუძნება, რომლის მიხედვითაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ნარჩენებმა ნაკლები ზიანი მიაყენონ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. ამ პრინციპის გამოყენებით შვედეთი ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად ითვლება, სადაც წარმონქნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების 99% გადამუშავდება და მხოლოდ 1% განთავსდება ნაგავსაყრელზე...

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო
Friends of the Earth Georgia
ecovision.ge
SWEDEN
www.cleanup.ge

# გაზეთ „ალიონს“ პრობლემებს უქმნიან

გაზეთ „ალიონის“ 15 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ „ვინ არის „რუხი“ და ვინ იბრძოდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერ ნუგზარ გიორგაძესთან. ინტერვიუში საუბარი იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს „ნაცმოძრაობის“ ე.წ. „სპეცსიებზე“, გაშიფრული იყო რა სახის დავალებებს ასრულებდნენ იმჟამინდელი საჯარო მოხელეები, რომლებიც დღესაც არიან თანამდებობებზე. რესპონდენტმა ნუგზარ გიორგაძემ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოიყვანა, მაგრამ განაცხადა, რომ აუცილებლად ყველა იმ საჯარო მოხელის სახელსა და გვარს გაასაჯაროებდა, რომლებიც 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ ებრძოდა და დღეს კვლავ თანამდებობებზე არიან. რედაქციის როლი ამ შემთხვევაში მასალის მკითხველზე მიწოდებით განისაზღვრებოდა.

სამწუხაროდ, როგორც წინა ხელისუფლების დროს, ინტერვიუს გამოქვეყნების დღიდანვე ცალკეულმა პირებმა დაიწყეს „ალიონის“ შევიწროება. ზოგმა იმის გამო, რომ პუბლიკაციაში მათი ოჯახის წევრი იყო დასახელებული, გაზეთის ხელმოწერა შეწყვიტა, ზოგმა უფროსს „სოლიდარობა“ გამოუცხადა და დისტრიბუტორს, „პროტესტის“ ნიშნად, უკან მიუგდო გაზეთი.

გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრი“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან შეხვედრას მართავდა, რომელსაც გაზეთი „ალიონიც“ დაესწრო. შეხვედრის შემდეგ, ბახვის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა აქტივისტმა გოჩა შარაშენიძემ ერთგვარი ბოიკოტი გამოგვიცხადა, გვითხრა, რომ ამიერიდან თავის სოფელში გაზეთ „ალიონს“ აღარავინ წაიკითხავს და არც ხელმოწერის დავალიანებას დაფარავს.

შარაშენიძე გიორგაძის მისამართითაც იმუქრებოდა.

ეს უკვე „პროტესტის“ ამ ფორმის მერამდენე შემთხვევაა ამ კვირაში და ვფიქრობთ, პროცესი მართულია გარკვეული ჯგუფის მიერ.

კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ თუ „ალიონი“ განაგრძობს ე.წ. სპეცსიების გამოქვეყნებას, გაზეთსა და მთლიანად რედაქციას სხვა სახის პრობლემებიც შეექმნება....

# პასუხი ნანული ორაგველიძეს

22 ივნისს, გაზეთ \ალიონში“ გამოქვეყნდა ნანული ორაგველიძის სტატია, რომელშიც ის მე სიცრუეში მდებს ბრალს.

საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ ეს სწორედ ის ქალბატონია, რომელიც ყველაფერში ეთანხმება ქალაქის მერს, ბ-ნ. ბეგლარ სიორიძეს, ე.ი. უპრავებს მას ხალხისთვის საზიანო ქმედებებს (მათ შორის ქალაქის ქონების გასხვისებას 35 წლის ვადით და ასე შემდეგ); ეს ის ქალბატონია, რომელიც ფულის გულისთვის ყველაფერზეა წამსვლელი.

ჩვენს შორის უთანხმოება წარმოიშვა თავიდან სწორედ იმიტომ, რომ მას უნდოდა პრემიები და მაღალი ხელფასი, მე კი სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი ამისი. მეუბნებოდა, რატომ ხარ პრემიებისა და მაღალი ხელფასების წინააღმდეგიო. შემდეგ შეეკრა ოცნების იმ ფრთას, რომელსაც ბეგლარ სიორიძე ხელმძღვანელობს და ყველაფერს უპრავებდა მას. როდესაც მოვთხოვე შეეწყვიტა ეს უმსგავსო საქციელი, პირიქით, აქეთ შემომედავა და განაცხადა, რომ თითქოს მე ვძალავდი მას ფულს. მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ ეს ისტორია (ფულის გამოძალვის) ნანული ორაგველიძეს (იგი გახლავთ პატრიოტთა ალიანსის სახე - მეტის ღირსი არც არის ეს პარტია, რომელიც ხალხს ატყუებს, აბოლებს ობიექტივის ეთერიდან, რომ ვითომ არიან ოპოზიციონერები, სინამდვილეში კი უფრო მეტად სატელიტები არიან, ვიდრე იყნენ ქრისტიან-დემოკრატები ნაცმოძრაობასთან მიმართებაში) დაუკვეთა ქართული ოცნების იმ ფრთამ, რომელსაც ბეგლარ სიორიძე ხელმძღვანელობს (მე უკვე აღარ ვსაუბრობ ქ. ოზურგეთის საკრებულოზე, რადგანაც ეს ორგანო გადაიქცა ბეგლარ სიორიძის სატელიტ ორგანოდ, საუბარია მორჩილ უმრავლესობაზე).

მათ ზემოთ დასახელებული ისტორიის (ფულის გამოძალვის) შეთითხნით, ვითომ მოინდომეს ჩემი შეშინება, თუმცა მიიღეს საპირისპირო შედეგი.

ამის შემდეგ ვინაიდან პატრიოტთა ალიანსი შეეკრა ოცნებას, მე გამოვედი ფრაქცია პატრიოტთა ალიანსიდან, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ ნანული ორაგველიძე. ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ დაიშალა 2015 წლის 06 მაისს, ხოლო სულ რაღაც 02 დღეში, კერძოდ 08 მაისს, ბეგლარ სიორიძემ და მისმა სატელიტმა საკრებულოს უმრავლესობამ ნანული ორაგველიძეს შეუქმნა ახალი ფრაქცია სახელწოდებით „ოზურგეთი ჩვენი ქალაქია“, რომელშიც შევიდნენ ყოფილი ნაციონალი, ვითომ დამოუკიდებელი დეპუტატი ირინა საჯაია და ვითომ ოპოზიციონერი ნინო ტაბატაძე.

ე.ი. ოცნებამ კიდევ ერთხელ გადაუხადა საზღაური პოლიტიკურ გვამს ნანული ორაგველიძეს, დაუნიშნა სულ რაღაც 02 დღეში ხელფასი თვეში 1200 ლარის ოდენობით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ქალბატონი ნამდვილად არ იყო ღირსი, რომ გამეცა პასუხი, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის ის და მისი დამქაშები, მათ შორის პატრიოტთა ალიანსი, რომლის სახესაც ნანული ორაგველიძე წარმოადგენს.

**რედაქციისაგან:** გამომდინარე იქედან, რომ ყველა მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის უფლება, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თანაბარი ფართი დავუთმეთ, ყოფილ თანაპარტიელებს და დღეს უკვე ერთმანეთთან დაპირისპირებულ ქალაქის საკრებულოს დეპუტატებს, ქალბატონ ნანული ორაგველიძესა და ბატონ გოჩა სალუქვაძეს.

როგორც იტყვიან, „ორთქლი გამოშვებულია“. კარგი იქნება თუ ამიერიდან ისინი პოლიტიკური კინკლაობიდან პოლიტიკურ საქმიანობაზე გადავლენ და, როგორც თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ხელისუფლების წევრები, ამ საქმიანობისთვის დახარჯავენ თავიანთ ძალასა და ენერგიას.

# ბათუმში მარინა უჯმაჯურიძის პერსონალური გამოფენა მოეწყობა

**ალიონი.** ბათუმში, გალერეაში „41+41“ ოზურგეთელი მხატვრის მარინა უჯმაჯურიძის პერსონალური გამოფენა მოეწყობა.

ამის შესახებ „ალიონს“ქალაქ ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ უთხრა.

„ოზურგეთელი მარინა ჯაფარიძე თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვარია. მისი შემოქმედებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ როგორც საქართველოში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გალერეაში „41+41“, სადაც ყოველთვის სახვითი ხელოვნების მოყვარულთა სიმრავლეა, მარინა უჯმაჯურიძის გამოფენა, სავარაუდოდ, 3 ივლისს გაიხსნება“, – გვითხრა ჯაფარიძემ

# პრესრელიზი

## 26 ივნისი 2015 წელი, ოზურგეთი

“სტუდენტურ-ახალგაზრდულმა სათათბირომ” დაიწყო პროექტის „მე - აქტიური ამომრჩეველი - ინფორმირებიდან ქვეყნის მართვამდე!“ განხორციელება, რომელიც მხარდაჭერილია „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ და მისი ხანგრძლივობაა 6 თვე.

**პროექტი მიზნად ისახავს:** ახალგაზრდა ამომრჩეველთა ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებას მათი თანატოლების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით.

**პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:**

<u>ახალგაზრდა ლიდერთა ჯგუფის ჩამოყალიბება, მათი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა:</u>

ტრენინგ კურსის მეშვეობით, სახელწოდებით „მე - აქტიური ამომრჩეველი - ინფორმირებიდან ქვეყნის მართვამდე!“ მონაწილეები ინფორმირებული იქნებიან: ყველა კანონის შესახებ, რომლებიც კავშირშია სახელმწიფო ინსტიტუტებსა (პარლამენტი, პრეზიდენტი, თვითმმართველობა) და მათ ფუნქციებთან; საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესზე; არჩეული ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპის შესახებ; საარჩევნო კანონმდებლობა: საარჩევნო პროცედურები, სიები, დარღვევები.

<u>შეხვედრების ორგანიზება მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ექსპერტებთან, რომელიც მოიცავს:</u>

გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტში „ლიდერთა ჯგუფის“ წევრების უშუალო მონაწილეობით მუნიციპალიტეტებში აქტიურად მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრების ციკლის ჩატარებას, რომელთა მსვლელობისას ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ უშუალოდ გაეცნონ პარტიის საქმიანობას, პროგრამას, მათ პრიორიტეტებს და სამომავლო გეგმებს.

შეხვედრებს კონკრეტული სფეროს ექსპერტებთან, რათა „ლიდერთა ჯგუფის“ წევრებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია/ანალიზი მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების შესახებ, გაიღრმავონ ცოდნა და დაამყარონ კონტაქტები, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მათ გათვითცნობიერებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, მათი ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებას - არამედ დაეხმარება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების წარმატებით რეალიზებაში.

<u>ლიდერთა ჯგუფის მიერ თავიანთ თემებში/სოფლებში „მრგვალი მაგიდების“ ორგანიზება/ჩატარება:</u>

რომელიც ითალისწინებს „ლიდერთა ჯგუფის“ წევრების მიერ თავიანთ თემებში/სოფლებში „მრგვალი მაგიდების” ორგანიზება/ჩატარებას, სადაც მოწვეული იქნება თემის/სოფლის მოსახლეობა (აქცენტი გაკეთდება 18-25 წლის ახალგაზრდებზე), მუნიციპალიტეტების თემის/სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე მოწვეული იქნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის პარლამენტის წევრი - მაჟორიტარი დეპუტატი ან/და დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი.

<u>პროექტის დასრულების შემდეგ გვაქვს მოლოდინი, რომ:</u>

* 30 ახალგაზრდა სპეციალური უნარ-ჩვევებით აღიჭურვება „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზება/ ფასილიტაციასთან დაკავშირებით;
* გურიის მხარის მუნიციპალიტეტების თემებში/სოფლებში ჩატარდება 120 „მრგვალი მაგიდა“ და მათში მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 1 800 (ათას რვაასი) ახალგაზრდა ამომრჩეველი - პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები;
* ამაღლდება სამიზნე თემებში/სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერება, მოტივაცია და სამოქალაქო ჩართულობა, რაც განამტკიცებს მათ გადაწყვეტილებას, რომ გამოხატონ მზაობა: „არჩევნებში მონაწილეობა ჩემი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა და მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვთვლი, რომ არჩევნებში თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა.“

# სოფელ ჭანჭათში 75 წლის ქალბატონი 40 სკას დამოუკიდებლად პატრონობს

**სალომე ცომაია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში 75 წლის მარტოხელა ნანული ჯაში 10 წელია, 40 ოჯახ ფუტკარს დამოუკიდებლად უვლის.

„მეუღლისა და შვილის გარდაცვალების შემდეგ, აგერ უკვე ათი წელია, ფუტკარს მარტო ვუვლი. ორი ოჯახი იყო და ორმოცამდე ავედი, უფრო მეტიც მყავდა, მაგრამ ათი დამელუპა. ახლა ეს საქმე რომ მიმატოვებინონ, ცუდად გავხდები, ისე შემიყვარდა“,– გვითხრა უკვე გამოცდილმა მეფუტკრე ქალბატონმა, რომელიც, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, სეზონზე თაფლის უხვ მოსავალს ელოდება.

როგორც ქალბატონმა ნანულიმ გვითხრა, ეს მისი მცირე ბიზნესია, რომლითაც ირჩენს თავს და შვილიშვილებსაც უგზავნის ნატურალურ თაფლს თბილისში:

„ბიზნესის არაფერი გამეგება, მაგრამ, ალბათ შეიძლება, ასეც ითქვას, რომ მცირე ბიზნესია, რომლითაც ვირჩენ თავს, შვილიშვილებისთვისაც და პატარა შვილთაშვილ ბარბარესათვის ჩამაქვს ნატურალური თაფლი თბილისში. აბა, შაქრის სიროფით ხომ არ გავჭყიპავ მათ. ცოტას ვყიდი, ცოტას მეზობლებსა და ნათესავებსაც მივუკითხავ“.

ქალბატონი ნანული ჯაში ფიქრობს, რომ ორი რამ უხანგრძლივებს წუთისოფელს – თბილისში თავისი ნაგრამის მონახულება და ჭანჭათში ფუტკარზე ზრუნვა.

# თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართობი კვმ | მინ. შენობის ფართობი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.12.581 | 80 | | 800 | 400 | 50 | 8 000 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.18.200 | 19 | | 190 | 95 | 50 | 1 900 |
| 3 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ | დაბა ურეკი | 26.28.13.228 | 32 | | 480 | 240 | 50 | 4 800 |
| 4 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. წატანები, კაპროვანი | 26.01.51.175 | 200 | | 1 999 | 1 000 | 50 | 19 998 |
| 5 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მერია | 26.05.36.137 | 169 | | 90 | 45 | 50 | 900 |
| 6 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრე-ბული შენობა-ნაგებობა | სოფ. გურიანთა | 26.06.25.132 | 225 | 190 | 312 | 156 | 50 | 3 123,2 |
| 7 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ** | სოფ. ლიხაური | 26.16.24.055 | 435 | | 250 | 125 | 50 | 2 500 |
| 8 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.19.119 | 946 | | 500 | 250 | 50 | 5 000 |
| 9 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრე-ბული შენობა-ნაგებობა | სოფ. შემოქმედი, გომი | 26.18.18.023 | 270 | 221.5 | 315 | 158 | 50 | 3 147,8 |

** - აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის 440 დადგენილების მე-2 და მე-4 პუნქტები.

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

# თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს იჯარით წესით სარგებლობისათვის

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | სულ ფართობი კვმ | გასაქირავებელი ფართობი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | ქონების ნაწილობრივი დათვალ-ვა (ლარი) | გასაქირავებელი ქონების ნაწილობრივ დათვალ-ვა (ლარი) | გასაქირავებელი ქონების ნაწილობრივ 10% (ლარ) | სულ ქირის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფართი ადმინისტრაციულ შენობაში | სოფ. ასკანა | 26.22.15.003 | 314,6 | 5,6 | 8,5 | 4,25 | 50 | 47 190 | 840 | 84 | 85 |
| 2 | ფართი ადმინისტრაციულ შენობაში | სოფ. ასკანა | 26.22.15.003 | 314,6 | 22,1 | 33 | 16,5 | 50 | 47 190 | 3 315 | 331,5 | 332 |
| 3 | ფართი ადმინისტრაციულ შენობაში | სოფ. ვონჭკათი | 26.03.14.002 | 302,6 | 18,4 | 30 | 15 | 50 | 50 000 | 3 040,3 | 304,0 | 304 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

**ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
* "აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;

",ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;

* "დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;"
* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 29 ივნისიდან 29 ივლისის 12 სთ-მდე;"
* აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 29 ივლისს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;
* "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“

**ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."**

# 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



**ჯეიმს კლერკ მაქსველი** (1831-1879). „ყველაზე ღრმა და ნაყოფიერი იდეები ისააკ ნიუტონის დროიდან“ – ალბერტ აინშტაინი მაქსველზე.

1861 წელს მაქსველმა შექმნა პირველი ფერადი ფოტო. 1864 წელს გამოქვეყნდა „ელექტრონული ველის დინამიკის თეორია“. 1873 წელს გამოსცა ტრაქტატი ელექტრობასა და მაგნეტიზმზე. 1888 წელს ჰაინრიხ რუდოლფ ჰერცმა აღმოაჩინა რადიოტალღები, რითაც დამტკიცა მაქსველის თეორია ტალღების უცნობი სახეობების შესახებ.

მაგნიტური და ელექტრო ტალღების საშუალებით დამტკიცა უფრო მეტიც. მაქსველმა აღმოაჩინა, რომ ამ ტალღების სისწრაფე სინათლის სისწრაფეს უტოლდებოდა (186 000 მილი წამში) და გამოიტანა დასკვნა (როგორც ფარადეიმ მანიშნა), რომ ჩვეულებრივი სინათლე არის ელექტრომაგნიტური რადიაციის ფორმა. მას ევვი ეპარებოდა ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სინათლის ერთგვაროვნებაში და წამოაყენა აზრი სხვა ტიპის ტალღების არსებობის შესახებ, რაც იმ დროისათვის ცნობილი არ იყო.

1888 წელს ჰაინრიხ ჰერცის (1857-1894) მიერ რადიოტალღების აღმოჩენამ მოგვიანებით ეს მოსაზრება დაადასტურა.

მეცნიერები თვლიან, რომ ჯეიმს კლერკ მაქსველი თავისი მნიშვნელობით ისააკ ნიუტონს და ალბერტ აინშტაინს უტოლდება.

სხვა დიდი მეცნიერების მსგავსად, იგი წარმოგვიდგენდა ფიზიკური მოვლენების ახსნას, რაც ფიზიკის გაგებაში რევოლუციას იწვევდა. მან გზა გაუკვალა სხვა მეცნიერებს, გაჰყოლოდნენ ფარადეის (1791-1867) ექსპერიმენტულ აღმოჩენებს ელექტრომაგნიტიზმის დარგში. მაქსველმა ამ მიღწევების უნიფიცირებული, მათემატიკური ახსნა წარმოადგინა, რომელსაც სხვები დიდხანს თავს არიდებდნენ. შესაძლებელია, რომ მაქსველი კიდევ ბევრ სხვა აღმოჩენას გააკეთებდა, რომ არა მისი ადრეული ტრაგიკული სიკვდილი. იგი 48 წლის ასაკში ავთვისებიანი სიმსივნით გარდაცვალა.



**ალფრედ ნობელი** (1833-1896). როდესაც ნობელს მისი საწარმოს აღდგენის უფლება არ მისცეს, მან კვლევები ბირჟაზე გააგრძელა.

1864 წელს გამოიგონა დინამიტი, 1876 წელს შექმნა ფეთქებადი ჟელატინი. 1886 წელს გამოიგონა ბალისტიტი (ფეთქებადი ნივთიერება).

1901 წელს გაიცა ნობელის პირველი პრემია. ალფრედ ნობელი აღიარებულია მსოფლიო მოქალაქედ. მიუხედავად იმისა, რომ ნობელი შვედი იყო და სტოკჰოლმში გაიზარდა, განათლება ძირითადად რუსეთში მიიღო.

ალფრედ ნობელი ნაყოფიერი გამომგონებელი იყო. მას მიღებული ჰქონდა 350 პატენტი სხვადასხვა ქვეყანაში. გამოგონებები მოიცავდა ხელოვნურ ტყავსა და აბრეშუმს, სამხედრო ჩაფხუტსა და მრავალ სხვას.

ნობელმა ერთ-ერთი ვილდო მშვიდობას მიუძღვნა, მეორე ლიტერატურას ეხებოდა, სამი კი – მეცნიერულ მიღწევებს. დაჯილდოება ხდებოდა ყოველწლიურად ნობელის სურვილის შესაბამისად, მათთვის, ვინც წინა წელს დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას.



**გიტლიბ დაიმლერი** (1834-1900). დაიმლერს, რომელმაც ბიბგი მისცა საავტომობილო რევოლუციას, ავტომობილის მართვა არ ჰყვარებია.

1885 წელს დაიმლერმა დააპატენტა პირველი ბენზინზე მომუშავე შიდაწვის ძრავა. 1886 წელს აწყო პირველი მოტოციკლი. 1886 წელს გამოიგონა ოთხბორბლიანი, ბენზინზე მომუშავე ავტომობილი.

1889 წელს შექმნა ორტაქტიანი, ოთხცილინდრიანი ძრავა. 1899 წელს გამოუშვა „მერსედესის“ პირველი ავტომობილი. 1893 წელს კარლ ბენცმა შექმნა პირველი საყოველთაო ავტომობილი. 1926 წელს დაიმლერისა და ბენცის კომბინაციები ერთმანეთს შეერწყა.

1894 წელს დაიმლერის ძრავით აღჭურვილმა მანქანამ მოიგო პირველი საერთაშორისო რალი, პარიზიდან რუანამდე.

მასალა მოამზადა
**გურამ ცერცვაძემ.**

# სკანვორდი






## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – დანტე ალიგიერი; საბანაო კოსტიუმი – ბიკინი; ებრაელთა სახელმწიფო – ისრაელი; ამგვარად – ასე; მაშველი სიგნალი – სოს; ნაცვალსახელი – იგი; მამაკაცის სახელი – იასე; ყოფილი სამხედრო კომისარი ოზურგეთში – ლაკია; გამწევი ძალა – ხარი; მისამღერი – რეფრენი; პორტუგალიელი ფეხბურთელი – ფიგუ; ბატონი ესპანურად – დონ; შენ მეგრულად – სი; კარგი ამინდი – დარი; ა. ქურიძის ფსევდონიმი – ეული; რკინიგზის რკინა – რელსი; ნორვეგიის დედაქალაქი – ოსლო; მოქმედების გამომხატველი სიტყვა – ზმნა; მალხაზი მოფერებით – მახო; ფინელი მწერალი – ახო; ქეიფი – ლხინი; აბსოლუტური მონარქია – აბსოლუტიზმი; სვანური სიმღერა – ლილეო; გულადი – ლომგული; პარასკევი ძველქართულად – დიოსისა; ერთგვარი რბილი ქსოვილი – ნარმა; ნოტი – დო; რძის პროდუქტი – იოგურტი; დიახ – ჰო; მოგება ნარდში – ოინი; ბრძოლაში გამარჯვებული – გმირი; მემარცხენე – ცაცია; გამოსაცნობი სიტყვა – რებუსი; ავანსად შეძენა – ნისია; სიცილიუმის ორჟანგი – კვარცი; გიტარის ძაფი – სიმი; ქალის ტანსაცმელი – დეკოლტე.

# "შვილების გამო უნდა წამოვსულიყავი"

## ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ისტორია

,,ქორწინების მეორე დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა, არც მხიარულების უფლება მქონდა, არც დარდის. 11 წელი გავატარე ამ კოშმარში. ხშირად კედელთან მაყენებდა და დანას მესროდა, აბა თუ გაგარტყამო. ერთხელ მეზობელთან გავედი, 5 წუთი დამაგვიანდა შემოსვლა, რომ შემოვედი აბაზანა გაავსო წყლით და მეუბნებოდა, რამდენი წუთიც დააგვიანე, იმდენ წუთს გაგაჩერებ წყალშიო, რომ არა დედამთილი, ალბათ დამახრჩობდა. ვერავის ვუმხელდი დარდს, ჩემმა მშობლებმაც კი არ იცოდნენ ჩემი გასაჭირი. ნამტირალევს რომ მნახავდნენ, ვიტყუებოდი, ალერგია მაქვს და თვალები მიწითლდება-მეთქი. ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობდა. თუ ვინმე შემაქებდა, ამაზეც მწარდებოდა, ჩამჩურჩულებდა ყურში, აი, წავა და რა გელის შენ ხომ არ იცი.

ყველა ქალი შვილების გამო ითმენს ძალადობას, მე კი მივხვდი, რომ შვილების გამო უნდა წამოვსულიყავი, ამის გადაწყვეტას თერთმეტი წელი შევალიე, ჩემი საუკეთესო წლები. თურმე რამდენი რამ შემძლებია, თურმე რა ხალისიანი ვყოფილვარ... ყველა ქალს ვურჩევ ნუ გაჩერდებით მოძალადე ქმართან. დამიჯერეთ, გამოდით და თავს უბედნიერეს ადამიანად იგრძნობთ. ამას მე ჩემი გამოცდილებით გეუბნებით"

**2007-2014 წლების (იანვარ-ივნისი) სტატისტიკა:**

ძალადობის 1102 ფაქტი, მათში მონაწილე 2223 პირით. მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები.

მოძალადე მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 წლის შუალედში. მსხვერპლ მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო მსხვერპლ ქალებში - 25-44 წლის შუალედში.

ძალადობის ფაქტების რაოდენობით გურია საქართველოს რეგიონებს შორის ბოლო ადგილზეა. 10 000 მოსახლეზე ძალადობის ფაქტების ხვედრითი წილის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისში (5,8 შემთხვევა), ხოლო ყველაზე დაბალი – კახეთში (0,4).

**რეალობა**

ოჯახში ძალადობა არის იმდენად შეჩვეული ჭირი, რომ ხშირად ვერც მსხვერპლი და ვერც მოძალადე ვერ აცნობიერებს ამას.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები რეგიონის განვითარებისათვის" გურიაში, სხვა თემებთან ერთად, ამ მიმართულებითაც წარმატებულად მუშაობს და უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილებაც დაგროვა.

მისი ხელმძღვანელი, ქალბატონი ქეთევან ხიდაშელი აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის სტატისტიკა არ ასახავს რეალობას. მსხვერპლის მხრიდან მიმართვიანობა იზრდება მხოლოდ საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობისას, რადგან სხვა შემთხვევაში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ვერ ხედავს თავდაცვის მექანიზმებს.

**ქეთევან ხიდაშელი:** " დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის ინფორმირებულობასა და გამოძახებაზე მისული სამართალდამცავის რეაგირების ფორმას. ზოგჯერ მოძალადეს აწერინებენ ხელწერილს, რასაც იურიდიული ძალა არ აქვს. შედეგად, სტატისტიკა არეალური, ხოლო მსხვრპლი დაუცველი და იმედგაცრუებული რჩება. პოლიციის გამოძახების შედეგი უნდა იყოს შემაკავებელი ორდერის ამოქმედება. სხვა შემთხვევაში მსხვერპლი მარტო რჩება მოძალადის პირისპირ.

პოლიციის გამოძახება მოჰყვება უკიდურესად დაძაბულ სიტუაციას: მრავალჯერ ცემას, სახლიდან გამოქცევას, უიმედობას... ძირითადად ძალადობა ხდება სიმთვრალის ფონზე. არის ასეთი პრაქტიკაც – ,,ქმარი მიდის დასალევად, ცოლი გარბის სახლიდან".

**– ქალბატონო ქეთევან, სიმთვრალე, ოჯახის დაწიოკება გამოწვეულია მოძალადე მამაკაცების უმუშევრობით?**

– ძალადობა არ არის სოციალური მდგომარეობით გამოწვეული პრობლემა. მოძალადე ხდება ის, ვის მიმართაც აღზრდის პროცესში ხორციელდებოდა ძალადობა ან თვითონ იყო ასეთი ფაქტების მომსწრე. პოლიციის თანამშრომელთა შორის ხშირად არიან მოძალადე ქმრები. იქ, სადაც ძალადობრივი ინსტრუმენტები არის ოჯახში, სამსახურში, ადამიანები ვერ ახერხებენ თავიანთი ღირსებების დაცვას. თუ მოძალადეა ადამიანი შინაგანად, მას მიზეზი არ სჭირდება ძალადობის დემონსტრირებისათვის.

მიზეზად გამოდგება ყველაფერი, ჭიქის მდებარეობა, მჭადის დაწვა, მიმიკა...

ბევრი ქალი ახერხებს თავიდან აირიდოს მოძალადე მეუღლის მრისხანებას, ზოგი პირიქით, თითქოს პროვოცირებას უწევს.

**- რატომ?**

ეს არის მსხვერპლის სინდრომი, რომელსაც უყვარს მოძალადე, სითბოს მოკლებული ქალი ახდენს ძალადობის პროვოცირებას მოძალადისაგან ძალადობის შემდგომი სითბოს, სიყვარულის პრელუდიის მისაღებად. ფსიქოლოგების ინფორმაციით, ეს არის ძალიან ხშირი შემთხვევა.

**– თქვენს ორგანიზაციას მიმართავენ დახმარებისათვის, როგორ დაიწყეთ, მოიპოვეთ ავტორიტეტი და ნდობა?**

– ჩვენ დავიწყეთ ტრენინგებით, ფილმების ჩვენებით და რეაგირებით. ამან გაზარდა ინტერესი. პირველი მომართვაც მივიღეთ და პირველი დიდი წინააღმდეგობა პოლიციის გულგრილობა აღმოჩნდა. მეტიც, თითქმის თანაგრძნობა მოძალადის მიმართ. მარტო პოლიციაც ვერაფერს გახდება. შინაგანი მენტალიტეტი არ აძლევს უფლებას მსხვერპლ დედას და ცოლს წინააღმდეგობა გაუწიონ ოჯახის წევრს, ვერ იმეტებენ.

ჰგონიათ, რომ მოძალადე მაშინვე დაპატიმრებული იქნება. ეს ასე არ არის. ოჯახში ძალადობის კანონი ითვალიწინებს ოჯახის სიტუაციებს, სიყვარულს, რომელიც დამსახურების მიხედვით ნამდვილად არაა. ამიტომ არსებობს შემაკავებელი ორდერი, რომელიც ორჯერ გამოიცემა და თუ მრავალჯერადი სახე ექნება ძალადობას, მხოლოდ მაშინ ითვალისწინებს კანონი პატიმრობას.

**– მუსლიმანური მოსახლეობა მოგმართავთ დახმარებისათვის?**

– ამ შემთხვევაში გართულებული სიტუაციაა. მსხვერპლი არ თვლის თავს ასეთად, სანამ ფიზიკური შეურაცხყოფა არ ხდება. ძალადობის რვა ფორმა არსებობს – ეკონომიკური, ფსიქიკური, იძულებითი... ფიზიკური ძალადობა მოდის ამ ეტაპების შემდეგ. თითქოს ეს არის მოძრავი ბორბალი, რომელიც თანდათან იკრებს სიჩქარეს.

**– რა მდგომარეობაშია ბავშვები ოჯახებში, სადაც ძალადობაა?**

– ბავშვი ავტომატურად ხდება ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. კანონი პირდაპირ ავალებს ბაღისა და სკოლის პედაგოგებს, აცნობონ პოლიციას და სოციალურ აგენტს თუ ბავშვზე ძალადობს ერთი ან ორივე მშობელი. საკმარისია ბავშვს ემჩნეოდეს ძალადობის კვალი. დაწესდა ჯარიმაც იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ამას დამალავს. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური მუშაკის კომპეტენცია, რომელსაც შემდეგ დაევალება ამ საკითხის კვლევა. ამ შემთხვევაში დიდი როლი ეკისრება სოციალური სააგენტოს მუშაკს, მან უნდა ესაუბროს ბავშვს, გამოავლინოს პრობლემა და აღმოუჩინოს დახმარება.

ქალბატონი ქეთის სიტყვებით, მოძალადე მამაკაცის ჩამოყალიბება იწყება ოჯახში ქართული ოჯახებისათვის დამახასიათებელი ბიჭების უპირატესობის ტრადიციით, ვაჟიშვილს უსრულებენ ყველა სურვილს, ემსაურებიან ასაკის მიუხედავად. იგი ეჩვევა ამ მომსახურებას დედისაგან, მერე ითხოვს მეუღლისაგან, უხეშობს. თვითონ მოძალადე სინამდვილეში არის ადამიანი, რომელსაც სჭირდება დახმარება. მოძალადის სოციალური ფსიქორეაბილიტაციის კურსი კანონით არსებობს, რეალუად ჯერ ვერ მუშაობს. ბავშვი, რომელიც თავად ემსახურება საკუთარ თავს, მოძალადედ ვერ გაიზრდება. გენდერული თანასწორობა დაცულია ოჯახში. ეს უკვე ამ პიროვნების მენტალობაა.

მოკლედ, ყველაფერი მაინც ქალის ხელში ყოფილა...

**ლია კილაძე.**

---

## ღვაწლმოსილი

# ცირა პაპავა – ღირსეული და სამაგალითო ქალბატონი

ქართველი ქალებით, ქართველი დედებით ყოველთვის ამაყობდა ქართველი ერი, ქართული საზოგადოება, სრულიად საქართველო. ,,ნეტავ იმ ერს, ვისაც კარგი დედა ჰყავსო", – არაერთხელ უთქვამს დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს, ,,ბევრად სჯობია სიკვდილი ლამაზი დედის წყენასა", – ამბობდა ვაჟა ფშაველა. სწორედ ასეთი ქალების, დედების კატეგორიას განეკუთვნება სოფელ ბაილეთის მცხოვრები ქალბატონი ცირა პაპავა, რომელმაც შრომისა და ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. იგი სოფელში ცნობილია, როგორც ღირსეული, სამაგალითო პიროვნება, რომელსაც პირველად ასეთი შეკითხვა დავუსვით: ვინ გეხმარებოდათ ოთხი შვილის აღზრდა-ჩამოყალიბებაში? იგი არცკი დაფიქრებულა ისე დაიწყო საუბარი: – ქადილში თუ არ ჩამომართმევთ, ჩემი მშობლები უაღრესად შრომისმოყვარენი იყვნენ – მამა 20 წლისაც არ იყო, როცა კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარემ თეოფილე კვაჭაძემ ერთ-ერთ საწარმოო ბრიგადას ჩაუყენა სათავეში და მრავალი წელი უნარიანად ხელმძღვანელობდა მას. იგი იყო ინიციატივიანი ადამიანი, მისი სახელი მთლიანად არის დაკავშირებული მის უბანში, ჭანიეთურში მეტად საჭირო ობიექტების – პირველადი მოხმარების მაღაზიის, ჩაის დამზადების პუნქტების გახსნასთან და სხვა. დედა კი მრავალი წელი სოფელში დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო და სამსახურთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში. ყველაფერმა ამან, – როგორც ქალბატონი ცირა ამბობს, – მას ასწავლეს შრომისა და მიწის სიყვარული. იყო მოწინავე მეჩაიე, მრავალი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი. დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტეს აგრონომიული ფაკულტეტი, მაგრამ თანამდებობები არ უძებნია, კვლავ მთელი ენერგიით განაგრძობდა მუშაობას და როცა სოფელში აგრონომის ადგილი გამოთავისუფლდა, მან იქ დაიწყო მუშაობა და მრავალი წელი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამ პერიოდში საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს. აღნიშნულ, რთულ მაგრამ საპატიო სამუშაოებთან ერთად, თავის შვილებსაც ღირსეულად ზრდიდა, რაშიც ეხმარებოდა მეუღლე, მისი მარჯვენა ხელი თამაზ ზაქარიაძე, რომელიც სამწუხაროდ ადრე გარდაიცვალა, 54 წლისა. გარდაიცვალა მისი დამხმარე და ყოველმხრივ ხელისშემწყვე დედამთილი, ქალბატონი გოგუცა, რომელიც ერთადერთი შვილის გარდაცვალების დარღს გადაჰყვა.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ქალბატონ ცირას გული არ გაუტეხია, სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად, შვილებსაც ადამიანურად ზრდიდა, ოთხივე შვილს უმაღლესი და საშუალო განათლება მიაღებინა, ყველა მათგანი დაოჯახებულია და ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფროსმა ქალიშვილმა ირინამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საბუღალტრო-ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და მაკვანეთის საჯარო სკოლაში მუშაობს ბუღალტრად, მეუღლე მიხეილ მამინაშვილი მცირე საოჯახო ბიზნესით არის დაკავებული, ჰყავთ ერთი შვილი, ნიკო – უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტი, სახელობითი სტიპენტიანტი.

მომდევნო ქალიშვილი ჟანა პედაგოგია და მასწავლებლად მუშაობს ბაილეთის საჯარო სკოლაში, ჰყავს მეუღლე გიზო დოლიძე და ორი შვილი – მოსწავლეები.

მცირე საოჯახო ბიზნესით არიან დაკავებული თამრიკო და მისი მეუღლე შოთა ბაქანიძე, ჰყავთ ორი შვილი – მოსწავლეები.

სულ უმცროსი ირაკლი და მისი მეუღლე მაია საოჯახო საქმეებში ეხმარებიან ქალბატონ ცირას და სამ პატარას უზრდიან სამშობლოს.

უკვე წლებია ცალუღელად დარჩენილი ქალბატონი ცირა იმედით შეჰყურებს მომავალს და შვილების ოჯახების ბედნიერებით ხარობს და ყველაფერს აკეთებს საზოგადოებაში მათ ღირსეულად წარმოჩენისათვის.

მართლაც ღვაწლმოსილი, დაფასებული, ყოველმხრივ პატივსაცემი პიროვნებაა ქალბატონი ცირა, რომლის მიერ სახელოვნად განვლილი გზა სამაგალითო და მისაბაძია ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

**ამირან მამულაიშვილი,**
სწავლული აგრონომი,
ჟურნალისტი.

---


## განცხადება

**იყიდება ხის (წაბლი-ლისტვენიცა) სახლი ნიკო ნიკოლაძის №15-ში.**

**ტელ. 599 09 16 45. ლეილა.**

**ფასი შეთანხმებით.**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს თანამშრომელ გია ბაქანიძეს ძმის **ანზორ (ტუსა) ბაქანიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# შავი ზღვის მე-2 საერთაშორისო ღია პირველობა ალპაგუტში

ალიონი. პირველი ტურნირი შარშან გაიმართა ოზურგეთში და შარშანვე დაიგეგმა მე-2 ტურნირის 2015 წლის ივნისის ბოლოს გამართვა. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირში მონაწილეობაზე რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა სურვილი, ოზურგეთში მხოლოდ აზერბაიჯანის და ირანის ნაკრები გუნდები ჩამოვიდნენ. მათ გურიის ალპაგუტის ფედერაცია შეუერთდა.

ოზურგეთის სპორტის სასახლეში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქ. თბილისში, 13 ივნისს წყალდიდობისას დაღუპულთა ხსოვნას.შემდეგ კი გაიმართა პირველობის გახსნის მოკრძალებული ცერემონიალი.

ტურნირს მსოფლიო ალპაგუტის ფედერაციის დამფუძნებელი ვასიფ ნამაზოვი უძღვებოდა. შეხვედრები გაიმართა 3 სისტემაში ალპაგუტში: კონტაქტური კარატე;

K-1 კიკბოქსინგი; M-1 ბრძოლა წესების გარეშე.

საქართველოს სახელით ირაკლი ტულუშის აღსაზრდელები გამოვიდნენ

# ცოტა რამ ნადირობის შესახებ

ნადირობა, გარეული ნადირისა და ფრინველის მოპოვება, ადამიანის საწარმოო მოღვაწეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. თავდაპირველად (პალეოლითის ეპოქაში) ნადირობა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა და ნანადირევსაც კოლექტიურად იყენებდნენ. იგი შეხამებული იყო მეთევზეობასთან, მიწათმოქმედებასთან, მეცხოველეობასთან და სხვა დარგებთან. საზოგადოების განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ნადირობის ინდივიდუალური ფორმა, რომელიც თანდათანობით (განსაკუთრებით ჩრდილოეთ განედში) გადაიზარდა რეწვაში.

ნადირობის უძველესი იარაღი იყო ქვა, ქვის ნაჯახი, კომბალი, ხელშუბი, შორსსატყორცნი შუბი და სხვა, მოგვიანებით — ოროლი, სატევარი, დანა, ბადე, თვითდამჭერი, საჭერი ორმოები. ნადირობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მშვილდის გამოგონებამ (მეზოლითის ეპოქა), რაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე ხალხთა უმრავლესობაში ნადირობის ძირითად იარაღად დარჩა.

ნადირობისთვის იყენებდნენ ძაღლს, ცხენს, დამჭერ ფრინველს. სანადირო იარაღი, რომელიც დაკავშირებული იყო მეურნეობის ხასიათთან, ძალიან ნელა იცვლებოდა, ნადირობის ტრადიციები კი უცვლელად გადაეცემოდა თაობებს.

ცეცხლმსროლელ იარაღის შექმნასთან ერთად სანადირო თოფი თანდათან ნადირობის ძირითად იარაღად იქცა. ამჟამად ნადირობისთვის იყენებენ სანადირო თოფს, ძაღლებს, თვითმჭერ იარაღს (ხაფანგენს, საჭერ ბადეებს), არც თუ იშვიათად — დამჭერ ცხოველებს (მწევარი და სოროს ძაღლები).

არქეოლოგიურ ძეგლებში ნაპოვნი ძვლოვანი მასალა მოწმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ზედა პალეოლითის პერიოდში ნადირობის ობიექტი იყო თხა, ქურციკი, გამოქვაბულის დათვი, მგელი, გარეული ცხენი და სხვა ნადირი. ნეოლითის პერიოდში — ირემი, შველი, წავი; ენეოლითიდან — გარეული ღორი, ნიამორი, თახვი, სხვადასხვა ფრინველი; ბრინჯაოს ხანიდან — კურდღელი, მელა და ა. შ.

თრიალეთის პეტროგლიფებსა და ბრინჯაოს ნივთებზე გამოსახული ნადირი და ნადირობის სცენები მიუთითებს ნადირობის კოლექტიურ ხასიათსა და სამეურნეო მნიშვნელობაზე. სანადირო ფაუნისა და ნადირობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ წერილობით წყაროებში, განსაკუთრებით ვახუშტის თხზულებებში.

ფეოდალურ საქართველოში ნადირობა იყო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ხალხური საშუალება და ლაშქრის წვრთნის, სამხედრო მზადყოფნისა და მასობრივი შემოწმების ფორმაც. იმდროინდელი გლეხობისათვის ლაშქარ-ნადირობა ფეოდალური ბეგარის ერთ-ერთი სავალდებულო სახეობა იყო. სამეფო კარზე არსებობდა სამონადირეო უწყება, რომელსაც მონადირეთუხუცესი, შემდეგ კი ბაზიერთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მას ემორჩილებოდა „ჯელგის კაცი“, „მრეკალი“, „მესახუნდრე“, ბაზიერი, მეჯინიბეები, ტყეთა და ველთა სამეფო სანადიროთა მცველები და სხვა. განსაკუთრებული ზეიმით სრულდებოდა სამეფო ნადირობა, რომელიც ქართული საახალწლო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო სამეფო კარზე. ნადირობის ხალხური ტრადიციები საქართველოში, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ყველაზე უკეთ შემონახული იყო მთიანეთში. ჯგუფური ნადირობის ფორმებიდან აქ გავრცელებული ყოფილა მორეკვით ნადირობა (უმთავრესად ტყის ნადირზე), მოჭირვით ნადირობა (ნადირის სავალი ბილიკების გადაჭრა და სახუნდარში ჩასაფრება უპირატესად კლდის ნადირზე), ნადირის კვალში ჩადგომა (ბუჩქნარისა და ველის ნადირზე).

აქტიურ ნადირობასთან ერთად ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მახეხაფანგებით და მტაცებელი ფრინველით ნადირობა. ნადირობის როლი თავისებურადაა ასახული ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში. ნადირთღვთაებებად ითვლებოდნენ ნადირთანგელოზი დალი, ნადირთმწყემსი ოჩოპინტრე და ა. შ.

ზოგი ჩვეულება ბუნების დაცვას ემსახურებოდა მაგ., რაჭაში. მონადირეს ეკრძალებოდა ერთ გასვლაზე სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა. სანადირო ადგილებიც და სეზონიც განსაზღვრული იყო ტრადიციით. წესის დამრღვევ მონადირეს სოფელი სასტიკად სჯიდა, საჯაროდ კიცხავდა და აჯარიმებდა. როცა მონადირე 100 ნადირს მოკლავდა, თოფს მიწაში ჩამარხავდა და ნადირობას თავს ანებებდა.

ნადირობის მიზნის მიხედვით განარჩევენ სარეწაო, სპორტულ და სამეცნიერო ნადირობას.

* სარეწაო ნადირობის მიზანია ბეწვის, ხორცისა და სხვა პროდუქციის მოპოვება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ექსპორტისათვის.

* სპორტული ნადირობა, გარდა აღნიშნულისა, ითვალისწინებს აგრეთვე მონადირის ფიზიკურ მომზადებას, გამბედაობის და სწრაფი ორიენტირების უნარის გამომუშავებას. ნადირობა დასვენების სპეციფიკური ფორმაცაა. სპორტული ნადირობის საფუძველზე ვითარდება სამონადირეო ტურიზმი როგორც ცალკე ქვეყნებში, ისე ქვეყნებს შორის.

* სამეცნიერო ნადირობა ტარდება სამეცნიერო-კვლევის დაწესებულებების დავალებით, რომლის მიზანია სანადირო ფაუნისა და ნადირის დაავადებების შესწავლა, სამხარეთმცოდნეო მუზეუმების შევსება, სამეცნიერო კოლექციების შედგენა და სხვა.

საქართველოში ძირითადად განვითარებულია სპორტული ნადირობა, სარეწაო მნიშვნელობა აქვს ბეწვეულის დამზადებასაც (კვერნა, მელა და სხვა).

ნადირობის განვითარების თანამედროვე პრობლემები ბუნების დაცვის საერთო ამოცანების ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ცხოველთა მომრავლებას და მის რაციონალურ გამოყენებას.

## ჯონ ჰანტერი

**John Alexander Hunter (1887 – 1963)**

ჯონ ჰანტერი დაიბადა 1887 წელს შოტლანდიის სამხრეთში შირინგტონში. მამამისს ქვეყნის ამ ნაწილში ერთ-ერთი საუკეთესო ფერმა ჰქონდა 300 აკრი სახნავითა

და სამი კვადრატული მილი საძოვრით. გვარი უნტერ(მონადირე) წარმოდგება მათი უძველესი წინაპრის პროფესიიდან და გვარის ყველა წევრს თანდაყოლილი ჰქონდა ნადირობის სიყვარული. ჯონის მამაც გამუდმებით ნადირობდა, მხოლოდ დედა იყო ოჯახის ერთადერთი წევრი, ვინც არ მონაწილეობდა სპორტულ ნადირობებში. თუმცა თუ ნადირობა ოჯახის სხვა წევრებისათვის მხოლოდ დასვენება გახლდათ, ჯონისათვის ეს ჰაერი იყო, რის გარეშეც არსებობა არ შეეძლო.

ბავშვობაში ჯონი მამას დაყვებოდა სანადიროდ და ნასროლ ვაზნებს აგროვებდა(ძალიან უყვარდა დენთის სუნი). უმეტესად ლოხარ-მოსის ჭაობში ატარებდა მთელ დღეებს, სადაც ბლომად იყო იხვი და სხვა სანადირო ობიექტები. აქ მომავალი მონადირე აკვირდებოდა ფრინველთა ქცევებსა და მანერებს, სწავლობდა ჭაობის ბილიკებსა და ორიენტირების საფუძვლებს. შემდგომ ზრდასრული ჰანტერი იხსენებდა, რომ თვალახვეულს შეეძლო ჭაობში არსებულ ბილიკებზე სიარული...

8 წლის ჯონმა მამისაგან მალულად აიღო თოფი და წავიდა სანადიროდ. ეს თოფი გახლდათ ძველი „პერდე“, რომელიც მამამისმა თავისი მეგობრისაგან შეიძინა. ჰანტერის აზრით გლუვლულიანი პერდე საუკეთესოა ადამიანის მიერ შექმნილ თოფთა შორის. პერდეს დახასიათებისას ჰანტერი აღნიშნავს „მას უზუსტესი მოხვედრა აქვს; მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენი ვაზნაა ამ თოფიდან გასროლილი და მიუხედავად ამისა საკეტი ისევე მუშაობს როგორც სრულიად ახალი; აქვს ისეთი ბალანსი, რომ სროლა ერთი სიამოვნებაა".

როცა ჯონი პირველად გავიდა სანადიროდ, მან კინაღამ ფეხი გაიხვრიტა–ფრინველთან მიპარვისას უნებლიედ დაუშვა სასხლეტი. მიუხედავად ამისა, ამ ამბის გაგების შემდეგ, ჰანტერის მამას არ დაუშლია შვილისათვის ნადირობა. მალე ახალგაზრდა მონადირემ შეისწავლა იარაღთან მოქცევა, ყოველ საღამოს შლიდა მამის პერდეს და წმენდდა-ზეთავდა.

გარდა აქტიური ნადირობისა ჰანტერი თევზაობასაც არ ივიწყებდა(ბამბუკის ანკესით თევზაობდა). სიბნელის დადგომისას ჯონი მდინარეს აკითხავდა, ერთ ხელში ჩირაღდანი ეჭირა, ხოლო მეორეში კი ჩანგალი. ამ ხერხით ორაგულზე ნადირობდა.

(გაგრძელება იქნება)

მოამზადა
**გელა ჩავლეიშვილმა**

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭექა-ქუხილი, +18+24 | წვიმა +17+24 | წვიმა +18+24 | მზე, ღრუბელი +18+24 | წვიმა +20+22 | წვიმა +15+21 | წვიმა +14+21 |
| 29 ივნისი ორშაბათი | 30 ივნისი სამშაბათი | 1 ივლისი ოთხშაბათი | 2 ივლისი ხუთშაბათი | 3 ივლისი პარასკევი | 4 ივლისი შაბათი | 5 ივლისი კვირა |